

შპს ბილოს მოტორსი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს ბილოს მოტორსი

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	16
4. ძირითადი საშუალებები	18
5. მარაგები	18
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
7. ფული და ფულის ექვივალენტები	18
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
9. საგადასახადო აქტივი/საგადასახადო ვალდებულება	19
10. ამონაგები	19
11. ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	20
12. სხვა ხარჯი	20
13. მოგება/ (ზარალი) საკუთარ სხვაობიდან, წმინდა	20
14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
15. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები	21
16. ბალანსის შემდგომი მოვლენები	21
17. დამტკიცების თარიღი	21

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31/12/24	31/12/23
აქტივები		1 312 205	445 781
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	785 159	359 804
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	527 046	85 977
მარაგები		3 525 764	3 804 168
მზა პროდუქცია	5	3 523 621	3 684 135
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	5	2 143	5 900
საგადასახადო აქტივი	9	-	114 133
ძირითადი საშუალებები		75 159	55 022
სხვა ძირითადი საშუალებები	4	70 125	50 666
არამატერიალური აქტივები		5 034	4 356
სულ აქტივები		4 913 128	4 304 971
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	8	1 630 350	3 198 665
საგადასახადო ვალდებულებები		89 421	-
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები		1 512 441	41 751
სხვა ვალდებულებები		1 242	-
სულ ვალდებულებები		3 233 454	3 240 416
საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი		425 421	425 422
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1 254 253	639 134
სულ საკუთარი კაპიტალი		1 679 674	1 064 555
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4 913 128	4 304 971



დირექტორი

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31/12/24	31/12/23
ნეტო ამონაგები		3 974 071	2 330 871
საქონლის გაყიდვიდან		3 974 071	2 330 871
	10		
გაყიდვების თვითღირებულება		(2 297 149)	(1 274 995)
საერთო მოგება		1 676 922	1 055 876
სხვა შემოსავალი		-	-
ადმინისტრაციისა და გაყიდვების ხელფასების		(645 561)	(292 607)
ხარჯი	11		
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(18 757)	(8 538)
საპროცენტო ხარჯი		(127 580)	-
სხვა ხარჯები		(211 964)	(111 871)
	12		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		673 060	642 860
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		-	-
სხვა კურსთაშორის შემოსავალი		79 360	21 340
	13		
კურსთ შორის სხვაობიდან მიღებული ხარჯი		(137 301)	(25 066)
	13		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		615 119	639 134



დირექტორი

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-
წმინდა მოგება	-	-	639 134	639 134
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	639 134	639 134
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	425 421	-	-	425 421
2023 წლის 31 დეკემბერი	425 422	-	639 134	1 064 555
წმინდა მოგება	-	-	615 119	615 119
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	615 119	615 119
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	425 422	-	639 134	1 679 674



დირექტორი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბილოს მოტორსი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 425369424) წარმოადგენს 2023 წლის 11 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომლის ძირითადი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა ავტომობილების ნაწილებით და აქსესუარებით (საქმიანობის კოდი 45320)

100% წილის მფლობელია:

ილგამ ბაირამოვი, 10001008471

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია:

დირექტორი - ორხან ჰასანოვი, 28001096373.

მარეგისტრირებელი ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართია: საქართველო, ბოლნისის რაიონი, ს. ხახალაჯვარი

ფინანსური ანგარიშგების მომზადება-დამტკიცებაზე პასუხისმგებლობა

შპს ბილოს მოტორსის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მოამზადოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგება ისე, რომ ის სამართლიანად ასახავდეს მის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე საქმიანობის შედეგს და ცვლილებებს კაპიტალში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია :

- ✓ შეარჩიოს კომპანიისთვის შესაბამისი პოლიტიკა და იხელმძღვანელოს ამ პრინციპებით;
- ✓ შეარჩიოს და გამოიყენოს ეფექტური შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ✓ აწარმოოს ზუსტი და დროული ბუღალტრული ჩანაწერები, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადდეს სამართლიანად, დროულად.
- ✓ ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის აქტივების დაცულობას, თაღლითობის, შეცდომების და სხვა დარღვევების გამოვლენას და თავიდან აცილებას;
- ✓ კომპანიისთვის სასარგებლო და წინდახედული გადაწყვეტილებების მიღება;
- ✓ აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ✓ მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონალური საწარმოს პრინციპების შესაბამისად.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. დარიცხვის მეთოდის თანახმად, სააღრიცხვო ერთეული აქტივად, ვალდებულებად, საკუთარ კაპიტალად, შემოსავლად ან ხარჯად აღიარდება იმ მომენტში, როდესაც იგი დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს.

აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება ხდება პირვანდელი ღირებულებით.

- აქტივი არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას;

- ვალდებულება საწარმოს მიმდინარე პერიოდის ვალდებულებაა, რომელიც წარმოიშვა წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს საწარმოდან რესურსების გასვლას, რომელშიც განივთებულია ეკონომიკური სარგებელი;

- საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

2.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი, 2022
1 USD/GEL	2.8068	2.689

2.3 ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ძირითადი ან ადმინისტრაციული საქმიანობისთვის, გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომლებიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში მისი მოხდენისთანავე.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

აქტივად აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებები აღრიცხება თვითღირებულების მოდელით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით ან/და გაუფასურების ღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
მანქანა-დანადგარები	2-5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	4-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	2-5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2 წელი
მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა	არ იცვითება

საჭიროების შემთხვევაში, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ხდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია მიიღებდა აქტივების გასხვისებიდან, გამოკლებული გასხვისების სავარაუდო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ხანდაზმულია და იმყოფება მისი საექსპლუატაციო პერიოდის დასრულებისას მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და საექსპლუატაციო ვადა გადაიხედება და, თუ საჭიროა, კორექტირდება თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

(ბ) არამატერიალური აქტივი

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები ფასდება მათი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი აღრიცხება შეძენის ფაქტობრივ ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

არამატერიალური აქტივი	სასარგებლო პერიოდის ვადა
არამატერიალური აქტივები	5 წელი

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ხდება მისი შეფასება გაუფასურებაზე, როდესაც არსებობს ნიშანი, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურდეს. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალ ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალ ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

2.6 მოთხოვნები

კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც განცალკევებულად ასახავს დაკავშირებული მხარეებისა და სხვა მხარეებისგან მისაღებ თანხებს და ასევე ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც

წარმოიქმნება დარიცხული შემოსავლებიდან, რომლისთვისაც საწარმოს ჯერ არ წარუდგენია გადახდის ანგარიშები.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელი სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

2.7 ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს. საწარმოს გააჩნია მხოლოდ მოკლევადიანი ვალდებულებები.

2.8 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.9 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრების ნაშთების გადაფასება ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის გაცვლითი ოფიციალური კურსის შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

2.10 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწმის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწმის ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწმის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწმას ახორციელებს საშუალო შეწონილი მეთოდით.

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის საქმიანობას არ წარმოადგენს ვაჭრობა, ანგარიშგებაში მოცემული მარაგები სამომავლოდ განკუთვნილია სარეკლამო და ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

2.11 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

მომსახურების გაწევა

კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

2.12 დანახარჯები

ხარჯის აღიარება ხდება მისი გაწევისთანავე.

2.13 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

2.14 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის მიერ გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები აღირიცხება მიღებული შემოსავლით. აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალს. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

2.15 დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

2.16 პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, საპენსიო შენატანები, სადაზღვეო სისტემაში შენატანები, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი. კომპანიას სჯერა, რომ ყველა აუდირებული პერიოდისთვის მის მიერ დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები ეფუძნება მრავალ ფაქტორს, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და საგადასახადო კანონმდებლობას. ეს განსაზღვრება ეფუძნება შეფასებებსა და დაშვებებს, და შეიძლება მოიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალი მოვლენების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო საგადასახადო

შედეგი განსხვავებული იქნება დარიცხული თანხებისგან, სხვაობები გავლენას მოახდენს იმ პერიოდის ანგარიშგებაზე, რა პერიოდშიც ეს გახდება ცნობილი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტისგან გადაწყვეტილებების მიღებას, შეფასებების და ვარაუდების შემუშავებას, რასაც გავლენა აქვს ანგარიშში მოყვანილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ოდენობაზე და თანმხლებ გამოვლინებებზე და სადავო ვალდებულებების გამოვლინებაზე.

გაურკვევლობამ ამ ვარაუდებსა და შეფასებებთან დაკავშირებით შესაძლოა მიგვიყვანოს შედეგებამდე, რაც საჭიროებს აქტივების და პასივების საბალანსო მაჩვენებლების არსებით რეგულირებას, რომლებიც შეიცვლება სამომავლო პერიოდში.

4. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ძირითადი საშუალებები	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა– დანადგარები	ჯამი
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	-	-	-	-	-	-
შეძენა	4 881	9 539	2 026	36 507		52 954
გასვლა	-	-	-	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2023	4 881	9 539	2 026	36 507	-	52 954
შეძენა	2 931	10 024	-	24 685	575	38 216
გასვლა	-	-	-	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2024	7 813	19 563	2 026	61 192	575	91 169
აკუმულირებული ცვეთა 31.12.2022	-	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	332	551	135	1 270		2 288
ცვეთის შემცირება	-	-	-	-	-	-
აკუმულირებული ცვეთა 31.12.2023	332	551	135	1 270	-	2 288
ცვეთის ხარჯი	1 530	3 627	554	12 970	76	18 757
ცვეთის შემცირება	-	-	-	-	-	-
აკუმულირებული ცვეთა 31.12.2024	1 862	4 178	689	14 239	76	21 044
წმინდა ღირებულება 31.12.2023	4 550	8 987	1 891	35 238	-	50 666
წმინდა ღირებულება 31.12.2024	5 951	15 385	1 337	46 953	500	70 125

5. მარაგები

	2024 წელი	2023 წელი
მზა პროდუქცია	3 523 621	3 684 135
სხვა სასაქონლო-მატერიალური	2 143	5 900
სულ	3 525 764	3 690 035

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვაჭრობა, ანგარიშგებაში მოცემული მარაგები სამომავლოდ განკუთვნილია სარეალიზაციოდ.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2024 წელი	2023 წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	527 046	85 977
სულ	527 046	85 977

შპს ბილოს მოტორსის მოთხოვნების ვადა ძირითადად ნაკლებია 1 წელზე. ჩვენი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანებების დაფარვა უმეტეს შემთხვევაში ხდება 1 წლამდე ვადაში.

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	2024 წელი	2023 წელი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	336 093	63 329
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	106 256	39 539
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	342 810	256 936
სულ	785 159	359 804

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024 წელი	2023 წელი
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1 630 350	3 198 665
სულ	1 630 350	3 198 665

შპს ბილოს მოტორსის ვალდებულებების დაფარვის ვადა ძირითადად ნაკლებია 2 წელზე. ჩვენი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანებების დაფარვა უმეტეს შემთხვევაში ხდება 1 წლამდე ვადაში.

9. საგადასახადო აქტივი/საგადასახადო ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კოდექსში დაბეგვრის ესტონურ მოდელზე გადასვლის გამო წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულების დასაბეგრ ბაზას წარმოადგენს, როგორც გაცემული დივიდენდები ასევე ოფშორულ ქვეყნებში რეგისტრირებული კომპანიებისთვის გადარიცხული ავანსები;

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს საგადასახადო პორტალის გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას ნეტო ღირებულებით, გამომდინარე იქიდან, რომ 2023წ 31 დეკემბრისთვის კომპანიას აქვს საგადასახადო ზედმეტობა, აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოიშვა საგადასახადო აქტივი თანხით 114 133, ხოლო 2024წ 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო დავალიანება 89 421 ლარის ოდენობით.

საშემოსავლო გადასახადის დასაბეგრი ბაზა მოიცავს: ხელფასებს, დივიდენდს, მომსახურების ანაზღაურებას ფიზიკური პირებზე, სსკ-ის 134-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრული თანხები;

10. ამონაგები

	2024 წელი	2023 წელი
საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები	3 974 071	2 330 871
ნეტო შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	3 974 071	2 330 871

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც საკუთრების მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადადის მყიდველზე, გაყიდული საქონლის ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია და გაწეული ან მოსალოდნელი ხარჯების შეფასება შესაძლებელია სანდოდ. გაყიდვების ძირითად ნაწილზე, გადაცემა ხდება გაყიდვის მომენტში. კომპანიის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს ავტონაწილების და აქსესუარების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბერს შეადგენს **2 330 871** ლარს, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბერს **3 974 071** ლარს

11. ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი

	2024 წელი	2023 წელი
შრომის ანაზღაურება	645 561	292 607
სულ	645 561	292 607

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს მხოლოდ პერსონალის სახელფასო ხარჯებს

12. სხვა ხარჯი

დასახელება	2024 წელი	2023 წელი
რეკლამის ხარჯები	-	1250
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	1 425	364
სოციალური დანარიცხები	11 420	5738
საიჯარო ქირა	166 663	86060
კომუნიკაციის ხარჯები	2 854	808
ელ.ენერგიის ხარჯი	1 600	1286
სამიწვინებო ხარჯები	1 000	
რემონტი	319	72
კომპიუტერის ხარჯები	150	2645
საბანკო მომსახურება	14 996	6803
სხვა საერთო ხარჯი	11 091	6845
ჯარიმები	447	
ჯამში	211 964	111 871

13. მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან

მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან 2023 წელში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024 წელი	2023 წელი
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	79 360	21 340
საკურსო სხვაობით მიღებული (ზარალი)	(137 301)	(25 066)
სულ	(57 940)	3 726

სააღრიცხვო პოლიტიკა უცხოური ვალუტის ოპერაციებთან დაკავშირებით მოიცავს:

- უცხოური ვალუტის ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ფუნქციურ ვალუტაში (ამ შემთხვევაში, ლარში) იმ თარიღისთვის არსებული კურსით.
- მონეტარული აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისთვის გადაინგარიშება და არსებული კურსთაშორის სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება უცხოურ ვალუტაში. ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, ტრანზაქციის დღისთვის არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით. ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო

თარიღისთვის გადაიანგარიშდება და წარმოქმნილი კურსთაშორისი სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საკურსო სხვაობები ძირითადად წარმოიშობა იმპორტის ოპერაციებიდან, როდესაც მომწოდებლები ინვოისებს უცხოურ ვალუტაში (ძირითადად აშშ დოლარში) წერენ, ხოლო ინვოისის თარიღი და გადახდის თარიღი არ ემთხვევა ერთმანეთს. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კომპანიამ აღიარა მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციებში იგულისხმება პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო)
კომპანიას 2023წ განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები არ გააჩნია

15. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულება არსებობს.

16. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების დამტკიცების შემდეგ, ბალანსის შემდგომი მოვლენები გავლენას არ ახდენს კომპანიის 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

17. დამტკიცების თარიღი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღია 2024 წლის 30 სექტემბერი.

დირექტორი